

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“

ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	11
4. ძირითადი საშუალებები.....	12
5. გაცემული სესხი	12
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
8. საკუთარი კაპიტალი	13
9. ნასესხები სახსრები	14
10. ფინანსური გარანტიის ვალდებულება.....	14
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულება.....	15
12. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15
13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
15. ფინანსური ინსტრუმენტები	16
16. პირობითი ვალდებულებები	18
17. დაკავშირებული მხარეები.....	18
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ მონაწილეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IESBA) „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოება

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული დასკვნა გამოსცა ამ მოსაზრებაზე 2023 წლის 28 აპრილს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 24 აპრილი



მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 24 აპრილი

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	42,430	45,900
გაცემული სესხი	5	1,728	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,158	45,900
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,160	1,340
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		228	121
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	12,902	5,645
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,291	7,117
სულ აქტივები		58,449	53,017
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელის საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	14,198	14,198
გაუნაწილებელი მოგება		25,407	18,711
საკურსო სხვაობის რეზერვი	8	(2,370)	(2,371)
სულ მფლობელის საკუთარი კაპიტალი		37,235	30,538
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	19,359	20,935
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	10	670	832
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		20,029	21,767
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,185	712
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,185	712
სულ ვალდებულებები		21,214	22,479
სულ მფლობელის საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		58,449	53,017

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ზურაბ გორდეზიანი

ფინანსური მენეჯერი

ნანა მშვიდლობაძე

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

		2023 წლის შენიშვნა 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	42,430	45,900
გაცემული სესხი	5	1,728	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		44,158	45,900
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,160	1,340
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		228	121
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	12,902	5,645
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,291	7,117
სულ აქტივები		58,449	53,017
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელის საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	14,198	14,198
გაუნაწილებელი მოგება		25,407	18,711
საკურსო სხვაობის რეზერვი	8	(2,370)	(2,371)
სულ მფლობელის საკუთარი კაპიტალი		37,235	30,538
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	19,359	20,935
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	10	670	832
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		20,029	21,767
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	11	1,185	712
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,185	712
სულ ვალდებულებები		21,214	22,479
სულ მფლობელის საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		58,449	53,017

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზურაბ გორდეზიანი

ფინანსური მენეჯერი _____ ნანა მშვიდლობაძე

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	12	14,706	16,466
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13	(6,105)	(5,960)
საერთო მოგება		8,601	10,506
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(560)	(746)
საოპერაციო მოგება		8,041	9,760
ფინანსური შემოსავალი	5, 7, 10	404	2,857
ფინანსური დანახარჯები	9	(1,784)	(2,435)
არარეგულარული მუხლები, წმინდა		-	(37)
საკუროს სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა		35	334
მოგება დაბეგვრამდე		6,696	10,479
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		6,696	10,479
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), რომელიც მოგება-ზარალში არ არის რეკლასიფიცირებული - საკუროს სხვაობა წარსადგენ ვალუტად კონვერტირებიდან	8	1	(3,964)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,697	6,515

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	საკუროს სხვაობის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი		16,582	1,593	9,125	27,300
წლის მოგება		-	-	10,479	10,479
სხვა სრული ზარალი		-	(3,964)	-	(3,964)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	(3,964)	10,479	6,515
საწესდებო კაპიტალის შემცირება	8	(2,384)	-	-	(2,384)
ფინანსური გარანტიის ვალდებულების აღიარება	10	-	-	(893)	(893)
2022 წლის 31 დეკემბერი		14,198	(2,371)	18,711	30,538
წლის მოგება		-	-	6,696	6,696
სხვა სრული შემოსავალი		-	1	-	1
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	1	6,696	6,697
2023 წლის 31 დეკემბერი		14,198	(2,370)	25,407	37,235

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		14,875	16,134
მიმწოდებლებისთვის განხორციელებული გადახდები		(2,811)	(2,976)
თანამშრომლებისთვის განხორციელებული გადახდები		(233)	(145)
(გადახდილი)/ანაზღაურებული გადასახადები, წმინდა		(52)	17
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		11,779	13,030
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
სესხის გაცემა	5	(1,536)	-
მიღებული პროცენტი		121	44
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,415)	44
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	9	-	21,270
ნასესხები სახსრების დაფარვა	9	(1,477)	(27,788)
გადახდილი პროცენტი	9	(1,690)	(2,356)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	8	-	(2,384)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,167)	(11,258)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		60	(359)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		7,257	1,457
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,645	4,188
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	12,902	5,645

5-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მთავარი საქმიანობაა ელექტროენერგიის გამომუშავება საქართველოში. კომპანია ამუშავებს 21 მეგტ ჯამური სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურს გორთან ახლოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები“ (შემდგომში „GRPO“ ან „მშობელი საწარმო“), რომლის 100%-იანი მფლობელია სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი“ (შემდგომში „GRPH“ ან „შუალედური მშობელი საწარმო“). GRPH-ის 100%-ის მფლობელია სს „საქართველოს კაპიტალი“ (შემდგომში „GCAP“), რომლის საბოლოო მშობელი საწარმოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „Georgia Capital“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი საწარმო“), ინგლისში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღრიცხული იურიდიული პირი.

კომპანია არის თავდები და გასცემს უზრუნველყოფას „GRPO“-ის ახლად გამოშვებულ 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციებზე. ამ ოპერაციების ეფექტი განხილულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მე-9 და მე-10 შენიშვნებში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,3%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანიაზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ა) შესაბამისობა

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება საჭიროებს კონკრეტული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ეს ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკების ყველაზე შესაბამისად გამოყენების თაობაზე. სფეროები, რომელშიც გამოყენებულია მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ასევე მათი ეფექტი განხილულია მე-3 შენიშვნაში.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- ▶ ფასს (IFRS) 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ▶ სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8–ის ცვლილება;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1–ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება;
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2–ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება.

ფასს სტანდარტის „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ ცვლილების თანახმად, ბასს (IAS) 1–ის და ფასს პრაქტიკის განცხადება 2–ის ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ შეცვალა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა. შეცვლილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თავის საკუთარ საქმეებთან მიმართებით და ის მოიცავს მრავალ საკითხს, რომლებშიც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, ერთეულებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებას ექვემდებარება და გამორიცხავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 16–ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).
- ▶ ბასს (IAS) 1–ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7–ის და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი), შემდეგის გათვალისწინებით:

- ▶ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრება აშშ დოლარში, შესაბამისად, კომპანიის ამონაგები აშშ დოლარშია გამოხატული;
- ▶ აქციონერის მიერ სააქციო კაპიტალში შენატანები, მეტწილად აშშ დოლარში განხორციელდა;
- ▶ კომპანიის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარშია გამოხატული.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტირებით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალის ფარგლებში.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.6894 ლარი და 2.7020 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. ფინანსური ანგარიშგების მუხლების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშება ხდება შემდეგი პრინციპების მიხედვით: აქტივები და ვალდებულებები ლარში გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღში მოქმედი სავალუტო კურსით, შემოსავალი და ხარჯები გადაანგარიშდება გარიგების დღეებში მოქმედი სავალუტო კურსებით (ან პერიოდის საშუალო კურსით, თუ მიახლოებული სიდიდე გონივრულია), ხოლო კაპიტალის კომპონენტებისთვის შენარჩუნდება ის გაცვლითი კურსი, რომელიც მოქმედებდა სამუშაო ვალუტის ცვლილების თარიღისთვის. კონვერტაციის შედეგად მიღებული საკურსო სხვაობის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესულ ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი არ მოიცავს საკურსო სხვაობით განპირობებულ შემოსულობას/ზარალს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის ეფექტს, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მოსამზადებლად ლარში.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

კომპანია ყიდის ელექტროენერგიას, რომელსაც გამოიმუშავებს საკუთარი ქარის ელექტროსადგურით. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით.

ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის გაყიდვა ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და ამონაგები აღიარდება ისეთ დროს, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც ელექტროენერგიის მიწოდების მომენტში ხდება შეთანხმებული საზომი მრიცხველის საფუძველზე.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა ხდება ელექტროენერგიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მომხმარებლები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. შესყიდვის ფასის გარდა, ძირითადი საშუალებების ღირებულება, დაუმთავრებელი მშენებლობის ჩათვლით, მოიცავს უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს და ერთეულების დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის მომავალი გარდაუვალი ხარჯების ამჟამინდელ ღირებულებას. პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას, დასაქმებულთა გასამრჯელოების გადანაწილების ჩათვლით. ამასთან, პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები ითვალისწინებს ნებართვის წინა დანახარჯებს, რაც მოიცავს პროექტის შეფასების პერიოდში განხორციელებულ კვლევებს და მომსახურებებს, როგორც არის შეფასების კვლევა, საპროექტო დანახარჯების, ტექნიკურ და გარემოსდაცვით ანალიზს, გეოლოგიურ კვლევებს. ელექტროსადგურების მშენებლობისთვის ნებართვების მისაღებად განხორციელებული შენატანები ადგილობრივ სამთავრობო უწყებებში ასევე წარმოადგენენ პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯების ნაწილს. ერთეულების დემონტაჟის და გატანის ვალდებულება ანარიცხებში აღიარდება.

კომპანია ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ქარის ელექტროსადგურისა და მიწისგან.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ამორტიზებული ღირებულების ამორტიზაცია (რომელიც განისაზღვრება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულებით) დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ქარის ელექტროსადგური	20 წელი
სხვა	5-20 წელი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში და მოკლევადიანი მაღალლიკვიდური ინვესტიციებისგან (როგორც არის მაღალი ხარისხის სავალო ფასიანი ქაღალდები) წარმოშობისას სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, გარდა სავაჭრო ფინანსური ინსტრუმენტებისა. კომპანიის ფინანსური აქტივები შესულია მოკლევადიან აქტივებში, გარდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღიდან 12 თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე აქტივებისა. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს.

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სავაჭროდ გამიზნულის სახით, თუ მათი შეძენის ან წარმოშობის უპირატესი მიზანია მოგების გამომუშავება ფასებში მოკლევადიანი ცვალებადობიდან ან სადილერო მარჟიდან, ან იმ შემთხვევაში, თუ ის იდენტიფიცირებული ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს წარმოადგენს, რომელთა მართვა ერთობლივად ხდება და რომლისთვისაც არსებობს მოკლევადიანი მომგებიანობის მიმდინარე ფაქტობრივი შაბლონი.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები მოიცავს საწარმოს მიერ ფასიდან ან სადილერო მარჟიდან მოკლევადიანი მოგების მიზნით შეძენილ სავალო ფასიან ქაღალდებს. სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტებზე შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხის გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად ფასდება მსესხებლის შიდა საკრედიტო რეიტინგზე და გარკვეულ ფინანსურ თუ არაფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გაცემულ სესხებზე, კომპანია ზარალის ანარიცხს აფასებს 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლად. გაცემული სესხები რომლებზეც 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარებულია, შესულია ფინანსური ინსტრუმენტების 1-ელ დონეში. 1-ელ დონეში განაწილებული გაცემული სესხების საკრედიტო რისკის ზრდას ადგილი არ ქონია თავდაპირველი აღიარების შემდეგ და არაა გაუფასურებული. იმის განსასაზღვრად, გაცემული სესხის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შემდეგ, კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მსესხებლის შიდა საკრედიტო რეიტინგს ითვალისწინებს. თუ შიდა რეიტინგი გაუარესდა, კომპანია აკვირდება მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და გამოავლენს გაცემულ სესხებს, რომლებიც მე-2 სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებად მოიხსენიებიან და მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება მთელი სასიცოცხლო ვადისათვის.

თუ კომპანიას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსესხებელს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები აქვს ან სავარაუდოა, რომ მსესხებელი გაკოტრდება ან იქნება სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის საგანი, შესაბამისი ინსტრუმენტი გაუფასურებულად ჩაითვლება და ის მე-3 სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტად იწოდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აისახება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა, რომელიც თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით განისაზღვრება და შემდგომ შეფასდება (i) ზარალის რეზერვის თანხასა და (ii) შესაბამის შემთხვევაში ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) საფუძველზე აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თუ ადგილი ექნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის კლებას, რაც უკავშირდება აქტივის კლებას ან ვალდებულების ზრდას, რაც თავის მხრივ საიმედოდ შეფასდება. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ ან აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებები) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ის კომპანიის პარტნიორებმა შეიტანეს. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ განხორციელებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს მომავალთან დაკავშირებულ კონკრეტულ შეფასებებს და დაშვებებს. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება განვლილი გამოცდილების და სხვა ფაქტორების, მათ შორის სამომავლო მოვლენების საფუძველზე, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. მომავალში ფაქტობრივი გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ აღწერილია შეფასებები და დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთა ირიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ იმ პერიოდის შეფასებას, რომლის დროსაც აქტივებიდან მოხდება ამონაგების გამომუშავება, რაც პერიოდულად გადაიხედება მუდმივი შესაბამისობის დასადგენად. შეფასებებში ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კონკრეტული პერიოდების საბალანსო ღირებულებაში დარიცხულ თანხებში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. 2023 წელს კომპანიას არ გადაუხედავს მისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მშობელ საწარმოზე გაცემული ფინანსური გარანტიის აღიარება და შეფასება

2022 წლის ოქტომბერში კომპანია, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კონკრეტულ სხვა საწარმოებთან ერთად და განცალკევებით, გახდა თავდები 80 მილიონი აშშ დოლარის 7%-იან მწვანე ობლიგაციებთან მიმართებით, რომელთა დაფარვის ვადაა 2027 წელი და გამოშვებულია მისი მშობელი საწარმოს სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციების“ მიერ (1-ლი შენიშვნა), ასევე იპოთეკით დატვირთა მისი ყველა ძირითადი საშუალებები. მწვანე ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანიამ დააფინანსა ყველა მისი ნასესხები სახსრები ყოფილი მშობელი საწარმოსგან, მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი საწარმოს მიმართ მართებული ნასესხები სახსრების თანხაა 19,359 ლარი შეადგინა (31 დეკემბერი 2022: 20,935 ლარი) (მე-9 შენიშვნა).

საწყისი აღიარებისას გარანტიის ვალდებულების სამართლიანი ღირებულება 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციებიდან, რომლებიც მშობელმა საწარმომ გამოუშვა, 893 ლარი (მე-10 შენიშვნა) აისახა საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, რადგან კომპანიამ მიიჩნია, რომ ფინანსური გარანტიის ანარიცხი მშობელი საწარმოს მიმართ უფასოდ წარმოადგენს გარიგებას პარტნიორთან, რომელიც პარტნიორის ფუნქციებს ასრულებს.

ფინანსური გარანტიის ვალდებულების საწყისი და შემდგომი შეფასებისას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ 80 მილიონი აშშ დოლარის გარანტიის მთლიანი პირობითი თანხა შეამცირა მშობელი საწარმოს მიმართ არსებული ნასესხები სახსრების თანხით 19,359 ლარი და 20,935 ლარი, რომელიც უკვე აღიარებული იყო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად და 146,572 ლარით (31 დეკემბერი 2022: 147,259 ლარი), რომლის დაფარვა მოსალოდნელია სხვა თავდებების მიერ, რაც მნიშვნელოვან განსჯას წარმოადგენდა.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო თავდების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი თავდაპირველი სამართლიანი ღირებულებით არა ამორტიზებულ წილზე ნაკლები იყო. შესაბამისად კომპანიამ 670 ლარი და 832 ლარი აღიარა ფინანსური გარანტიის ვალდებულებაში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად თავდაპირველი სამართლიანი ღირებულების არა ამორტიზებულ წილზე, ფინანსურ შემოსავალში 171 ლარის და 33 ლარის აღიარებით ამორტიზებულ დარიცხვად 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა მნიშვნელოვანი განსჯა სხვა დაშვებების შემუშავებაში არაემპირიული ამოსავალი მონაცემების შესახებ, რომელიც გამოიყენება საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო თარიღში გარანტიის შეფასებაში, მათ შორის მშობელი საწარმოს და კომპანიის საკრედიტო რეიტინგის და დეფოლტის დაკავშირებული ალბათობის, მშობელ საწარმოსა და კომპანიის დეფოლტის ალბათობებს შორის ურთიერთმოქმედების და დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო ზარალის შესახებ.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ძირითადი საშუალებები

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები შესაძლოა შემდეგი სახით იყოს ნაჩვენები:

	მიწა	ქარის ელექტროსადგური	სხვა	სულ
პირვანდელი ღირებულება				
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	91	73,850	1,366	75,307
საკუროსო სხვაობა	(12)	(9,432)	(174)	(9,618)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	79	64,418	1,192	65,689
შესყიდვები	-	-	19	19
საკუროსო სხვაობა	(1)	(279)	(5)	(285)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	78	64,139	1,206	65,423
დაგროვილი ცვეთა				
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(18,764)	(169)	(18,933)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	-	(3,530)	(18)	(3,548)
საკუროსო სხვაობა	-	2,671	21	2,692
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(19,623)	(166)	(19,789)
ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	-	(3,194)	(16)	(3,210)
საკუროსო სხვაობა	-	5	1	6
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(22,812)	(181)	(22,993)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	79	44,795	1,026	45,900
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	78	41,327	1,025	42,430

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ დააგირავა მისი ყველა ძირითადი საშუალებები მშობელი საწარმოს გამოშვებული მწვანე ობლიგაციებისთვის (1-ლი შენიშვნა).

5. გაცემული სესხი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ გრძელვადიან სესხში შედის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული სესხი. სესხი დენომინირებულია დოლარშია 10% განაკვეთით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გაცემულ გრძელვადიან სესხს გასდის ვადა 2025 წლის 7 ოქტომბერს. ფიქსირებული პროცენტით გაცემული სესხი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა თავდაპირველი აღიარებიდან გაცემულ სესხთან მიმართებაში. სესხები არ არის ვადაგადაცილებული 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

31 დეკემბერს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული სესხი შედგებოდა:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმო	1,728	-
სულ გაცემული სესხი	1,728	-

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული სესხის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

	2023	2022
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	-	-
გაცემული სესხი	1,536	-
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	112	-
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	79	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	1,728	-

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება წარმოადგენს სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის („ესკო“) დებიტორულ დავალიანებას და წინასწარ გადახდას მომწოდებლებთან 1,116 ლარის და 44 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2022: 1,340 ლარი და ნული, შესაბამისად). საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო. ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა მოკლევადიანია.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	1,601	1,587
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარში	1,210	1,371
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	678	2,687
აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები	9,413	-
სულ	12,902	5,645

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს წარმოშობისას სამთვლიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2023 წელს დაირიცხა საპროცენტო შემოსავალი 121 ლარის ოდენობით (2022 წ.: 44 ლარი).

8. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ამორტიზებული საწესდებო კაპიტალი მოიცავდა 14,198 ლარს და ის სრულად გადახდილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერს: 14,198 ლარი).

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მისი საწესდებო კაპიტალი 2,384 ლარით შეამცირა მშობელი საწარმოსთვის გადახდილი ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

საკურსო სხვაობის რეზერვი

საკურსო სხვაობის რეზერვი მოიცავს უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის რეზერვს. წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) სრულად უკავშირდება მოძრაობას საკურსო სხვაობის რეზერვში.

კაპიტალის მართვა

თავისი კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან უზრუნველყოს მფლობელებისთვის უკუგების მოტანა, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები.

კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, იგივე ფორმით, როგორც ის წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში.

კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა და პროცესებში ცვლილებები არ შესულა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ნასესხები სახსრები

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
	ვალდებულებები	ვალდებულებები	ვალდებულებები	ვალდებულებები
სესხი მშობელი საწარმოსგან	-	19,359	-	20,935
სულ ნასესხები სახსრები	-	19,359	-	20,935

2022 წლის 13 ოქტომბერს კომპანიამ მიიღო 21,270 ლარის (7,635 აშშ დოლარი) ოდენობით სესხი სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციებისგან“, რომლის დაფარვის ვადაა 2027 წლის 13 ოქტომბერი. სესხი აშშ დოლარშია გამოხატული წლიური 9.4%-იანი საპროცენტო განაკვეთით. შემოსულობა მშობელი საწარმოს სესხიდან სრულად იყო გამოყენებული „GCAP“-სგან მიღებული 21,259 ლარის ოდენობით აქციონერული სესხის რეფინანსირებისთვის.

საფინანსო ოპერაციებიდან ვალდებულებების შეჯერება:

	სესხები ყოფილი მშობელი საწარმოსგან		სესხები მშობელი საწარმოსგან (GRPO)	
	სესხები	სესხები GCAP-სგან	სესხები	სესხები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,628	-	-	30,628
ნასესხები სახსრები გადაბარება	(21,581)	21,581	-	-
დარიცხული პროცენტი	1,924	54	457	2,435
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	-	-	21,270	21,270
ძირითადი თანხის დაფარვა	(6,760)	(21,028)	-	(27,788)
გადახდილი პროცენტი	(2,017)	(231)	(108)	(2,356)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	(2,194)	(376)	(684)	(3,254)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	20,935	20,935
დარიცხული პროცენტი	-	-	1,784	1,784
ძირითადი თანხის დაფარვა	-	-	(1,477)	(1,477)
გადახდილი პროცენტი	-	-	(1,690)	(1,690)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	-	-	(193)	(193)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	19,359	19,359

10. ფინანსური გარანტიის ვალდებულება

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია აჯამებს კომპანიის ფინანსური გარანტიის ვალდებულებას 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გარანტირებული ვალდებულება (1-ლი და მე-3 შენიშვნები)	მშობელი საწარმოს 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები	მშობელი საწარმოს 80 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები
გარანტირებული მთლიანი პირობითი თანხა (საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა), ლარი	215,152	216,160
დეფოლტირებული რისკის ზომა ვალდებულების შეფასების მიზნებისთვის, ლარი	48,046	48,271
ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:		
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულება	893	893
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური გარანტიის ვალდებულება, რომელიც შეფასებულია საწყისი სამართლიანი ღირებულების არა ამორტიზებული წილით	670	832
ფინანსური შემოსავალი მოგებაში ან ზარალში	171	2,813
ყოფილი მშობელი საწარმოს გარანტიასთან მიმართებით	-	2,780
მშობელი საწარმოს გარანტიასთან მიმართებით	171	33

ფინანსური გარანტიის ვალდებულება ამორტიზებულია ფინანსურ შემოსავლად მოგებაში და ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე გარანტირებული ვალდებულების მოსალოდნელ ვადაზე, მოსალოდნელი ავანსების გათვალისწინებით (მე-3 შენიშვნა).

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	1,129	676
სხვა ვალდებულება	56	36
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,185	712

სავაჭრო და სხვა ვალდებულება უპროცენტოა და ჩვეულებრივ 60 დღის ვადაში იფარება. სავაჭრო და სხვა ვალდებულების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული, მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

12. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიას აქვს ერთი მთავარი ხელშეკრულება ელექტროენერგიის სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორზე“ („ესკო“) მიყიდვაზე.

2016 წლის 10 მაისს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება „ესკო“-სთან ცამეტი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-თვის ზამთრის თვეებში - სექტემბრიდან აპრილამდე გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად. კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია, იყიდოს კომპანიისგან ელექტროენერგია გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად.

ამონაგებმა ელექტროენერგიის გაყიდვიდან 14,706 ლარი და 16,466 ლარი შეადგინა 2023 წელს და 2022 წელს, შესაბამისად. კომპანია არ ყიდის ელექტროენერგიას ღია ბაზარზე. ყველა ამონაგები გამომუშავებულია „ესკოსთან“ განხორციელებული გაყიდვებიდან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ელექტროენერგიის გაყიდვასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ნაშთი (სავაჭრო მოთხოვნები) 1,116 ლარს შეადგენდა (2022 წლის 31 დეკემბერს: 1,340 ლარი) (მე-6 შენიშვნა).

13. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
ცვეთის ხარჯი (მე-4 შენიშვნა)	(3,194)	(3,530)
ტექნოლოგიური ხარჯი	(2,412)	(1,991)
სახელფასო ხარჯი	(254)	(182)
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები	(99)	(83)
დაცვის ხარჯი	(78)	(74)
სადაზღვევო ხარჯი	(67)	(85)
სხვა	(1)	(15)
სულ	(6,105)	(5,960)

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(407)	(606)
პროფესიული მომსახურება	(66)	(55)
სადაზღვევო ხარჯები	(23)	(25)
ცვეთის ხარჯი (მე-4 შენიშვნა)	(16)	(18)
საიჯარო ხარჯები	(4)	(4)
სხვა	(44)	(38)
სულ	(560)	(746)

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის მიერ 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით შეფასდა. არაკოტირებული ფიქსირებულ-პროცენტუანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

		2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხი (შენიშვნა 5)	მე-2 დონე	1,728	1,720	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა)	მე-2 დონე	1,160	1,160	1,340	1,340
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-7 შენიშვნა)	1-ლი დონე	12,902	12,902	5,645	5,645
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-9 შენიშვნა)	მე-2 დონე	19,359	18,580	20,935	21,223
სავაჭრო და სხვა ვალდებულება (მე-11 შენიშვნა)	მე-2 დონე	1,185	1,185	712	712

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას იყო მიახლოებული, რაც ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადით იყო გამოწვეული.
- ▶ ფინანსური გარანტიის ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება არაემპირიული ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, მათ შორის საკრედიტო რეიტინგის, მშობელ საწარმოსა და კომპანიას შორის საკრედიტო რეიტინგის სხვაობის, ასევე დეფოლტის დაკავშირებულ ალბათობის, მშობელი საწარმოსა და კომპანიის დეფოლტის ალბათობებს შორის დამოკიდებულებისა და დეფოლტის შემთხვევაში სავარაუდო დანაკარგების საფუძველზე;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია გასწევს საპროცენტო, სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 3,489 ლარის (2022 წლის 31 დეკემბრის: სულ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში 5,645 ლარის ოდენობით) განთავსებული იყო ბანკებში, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოსგან მინიჭებული აქვთ ‘BB/bb-’ რეიტინგი და ინვესტირებული აშშ-ის სახაზინო ფასიან ქაღალდებში 9,413 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის: ნული) საკრედიტო რეიტინგით „AA+“;
- ▶ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-6 შენიშვნა).
- ▶ გაცემული სესხი (მე-5 შენიშვნა).

ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი მუდმივი მონიტორინგის საგანია, საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა საკრედიტო ხარისხს აკონტროლებს ვადაგადაცდილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ წარმოაჩენს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდობა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3-5 წელი	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ნასესხები სახსრები	-	-	26,198	26,198
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,185	-	-	1,185
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	215,152	-	-	215,152
სულ მომავალი გადახდები	216,337	-	26,198	242,535
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ნასესხები სახსრები	-	-	30,223	30,223
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	712	-	-	712
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	216,160	-	-	216,160
სულ მომავალი გადახდები	216,872	-	30,223	247,095

ფინანსური გარანტიის ვალდებულება უკავშირდება უფრო ადრინდელ პერიოდს და ის წარდგენილია ობლიგაციების სრული თანხით, რომლების გარანტიასაც ახდენს კომპანია, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საწარმოებთან ერთად. კომპანია არ მოელის, რომ გაცემულ გარანტიასთან დაკავშირებით ადგილი ექნება ფულადი სახსრების გადინებას (მე-10 შენიშვნა).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები მცოცავ საპროცენტო განაკვეთებში ნეგატიურად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

კომპანია არ გასწევს ფულადი ნაკადების საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან კომპანიამ მშობელი საწარმოსგან და ყოფილი მშობელი საწარმოსგან სახსრები ისესხა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით (მე-9 შენიშვნა).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი ნაკადები შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციებს თითოეულ არსებით ვალუტაში და, საჭიროებიდან გამომდინარე, შედის უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტების გარიგებებში.

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო რისკი წარმოიშობა ლარში გამოხატული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან და ევროში გამოხატული სავაჭრო ვალდებულებისგან. გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების ეფექტები არაარსებითია.

16. პირობითი ვალდებულებები

კომპანიასა და სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება

2016 წლის 10 მაისს კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება „ესკო“-სთან ცამეტი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-თვის ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი და თებერვალი) გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად.

გაცემული ფინანსური გარანტია

გარანტიები გამოუთხოვადი რწმუნებულებათა იმისა, რომ კომპანია განახორციელებს გადახდას იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ დააკმაყოფილებს ვალდებულებებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან ერთად გარანტია გასცა მშობელ საწარმოზე მწვანე ობლიგაციების თაობაზე, რომლებიც საქართველოს საფონდო ბირჟაზე კოტირებული (მე-10 შენიშვნა).

კომპანიამ აღიარა შესაბამისი ფინანსური გარანტიის ვალდებულება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-10 შენიშვნა).

17. დაკავშირებული მხარეები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის. ქვემოთ წარმოდგენილი ყველა ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის საფუძველზე.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და წლის დაკავშირებული ხარჯები იზლდება ნასესხები სახსრებით მშობელი საწარმოსგან, „GCAP“-სგან და დაკავშირებული ხარჯებით (მე-9 შენიშვნა), მშობელ საწარმოზე გაცემული ფინანსური გარანტიით (მე-10 შენიშვნა), საწესდებო კაპიტალის შემცირების ოპერაციით (მე-8 შენიშვნა) და ასევე ერთიანი კონტროლის ქვეშ მყოფ სუბიექტზე გაცემული სესხი (შენიშვნა 5).

დირექტორების ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2023 და 2022 წლებში მოიცავს დირექტორთა საბჭოს წევრებს. უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს სრულ განაკვეთზე მომუშავე აღმასრულებელი მართვის პოზიციების მომსახურების ანაზღაურებას, შედგება ხელფასებისგან, შესრულების პრემიებისგან, რომელიც დამოკიდებულია კომპანიის სხვა ანაზღაურების მაჩვენებლებზე, ცხოვრების, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების ფორმით. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის დარიცხულმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2023 და 2022 წლებში 52 ლარი და 60 ლარი შეადგინა, შესაბამისად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 24 იანვარს GRPO-ს გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 10,920 ლარის დივიდენდი, ფულადი სახით.